



# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 205

ქალაქი ქუთაისი 28 ოქტომბერი 2015 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისებისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ააიპ „სპეციალური სერვისების“ დირექტორის 15.10.2015 წლის №10338/01 მომართვის შესაბამისად:

**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, შოთა მურდულიას, ააიპ „სპეციალური სერვისებისათვის“ /ს/5412704612/, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, კერძოდ, ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა №53-ში მდებარე 2615.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული 309.97 კვ.მ. შენობის /საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.01.03.698/ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

**მუხლი 2.** ააიპ „სპეციალურმა სერვისებმა“ /ს/5412704612/ სარგებლობაში გადაცემული ქონება გამოიყენოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 22 დეკემბრის №1650 ბრძანებით დამტკიცებული ააიპ „სპეციალური სერვისების“ წესდებით გათვალისწინებული ფუნქციების შესასრულებლად.

**მუხლი 3.** უსასყიდლო უზუფრუქტით სარგებლობის ვადა განისაზღვროს, ააიპ „სპეციალური სერვისების“ /ს/5412704612/ არსებობის ვადით.

**მუხლი 4.** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, შოთა მურდულიამ უზრუნველყოს უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

**მუხლი 5.** კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

**მუხლი 6.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

**მუხლი 7.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრადის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.